

ლიტერატურული მითითებები.

სიტყვის მნიშვნელობა. სემასაოლოგია. ფონეტიკურა და სინტაქსური ერთეული სიტყვის და მნიშვნელობის შორის კავშირა შემთხვევითია. ასტრაქტული და კონკრეტული მნიშვნელობა. ე. წ. ჰომონიმია და სინონიმია. გარეშე წარმოდგენისა და გრძნობის გამხატვა ენაში მნიშვნელობის ინდივიდუალობა. ფსიქაური წინსწარი განწყობალება.

მნიშვნელობის ცვლა კვლტურულა და ფსიქაური პირობების გამო „ნაღი“, „ხრახვა“, „მეღვარი“, „სროლა“, „ნერი“. მნიშვნელობის გაფართოება და დაიწროება: „ხელა“, „სულა“, „persona“; ხაუთარი სახელები და სხვა. ევფემიზმები.

წარსულ სემასტრში (იხ. VI-XII ლექც.) ზენ გავრცაწით ფშთაერესად ბგერათმეცნიერებას ანუ ფონეტიკას: შევიხწაველი ბგერები ფსიქოფიზიოლოგიურად და განვიხილეთ მათი მრავალგვარი ცვლილება. მაშასადამე, ზენ გვქონდა სახეში უთავრესად ენის (ან სიტყვის) ბგერითი ნაარე. მაგრამ სიტყვა ბრაა ნხოლოდ ნხოლოდ ბგერათა კრებული, — მას აქვს ფერევე განსაკუთრული მნიშვნელობა. რა განსხვებება ბგერათა ამ ორ კომპლექსს შუა: „თავი“ — „იფთა“? — პირველს აქვს მნიშვნელობა, მეორეს არა. ამასთანავე სიტყვას „თავი“ შეგიძლია მივსეთ მრავალგვარი მნიშვნელობა (შინაარსი) გარემოების და საკიროების მიხედვით. მაშასადამე ზენ წინ სტგას საკრთი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

იმ დისკალინას, რომელიც იკვლევს სიტყვას-მნიშვნელობის მხრივ და ითვალისწინებს ამ მნიშვნელობის ცვლილ-

ბა-განვითარებას—ზოგჯერ სიტყვის ბგერითი ნაზის ცვლილებასთან დამოუკიდებლად,—ეწოდება სემასიოლოგია ან სემანტიკა (ბერძნ. *Semant, sémasi'a* „აღნიშვნა“, *sémantikós* „აღმნიშვნელი“).

აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ სემასიოლოგიის საგანი (სიტყვის მნიშვნელობა-შინაარსი) უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ფონეტიკისა; განსაკუთრებით, მნიშვნელობის ცვლილება-განვითარების მიზეზები სძევს ზოგჯერ ენის სფეროს გარეშე—ცხოვრების საერთო პირობათა ცვლელბადობაში; ამიტომ სემასიოლოგიაში ვერ მყარდება ისეთი გარდაუვალი კანონები, როგორც ფონეტიკაში. ჩვენ განვიხილავთ ხსენებულ მოვლენებს, რამდენადაც ისინი შედიან ენობრივ და ფსიქიურ მოვლენათა ფარგლებში.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვეულებრივ (ცოცხალ) ლაპარაკში ფონეტიურად არ არსებობს სიტყვა, როგორც დამოუკიდებელი განკერძოებული რამ ერთეული; არსებობს მხოლოდ სინტაქსიური ერთეული. ეს იმიტომ, რომ წინადადებაში ლაპარაკის დროს წინა სიტყვის ბოლო ბგერა ისეთისავე სისწრაფით უერთდება შემდეგი სიტყვის პირველ ბგერას, როგორც ერთ სიტყვაში ორი მენობელი ბგერა ერთი მგორეს. მოიგონეთ ფრანგულ ენაში ე. წ. *liaison* ან ძველი ინდურის „სანდჰი“ და ძველი-ბერძნული (განსაკუთრებით წარწერები, სადაც უპირატესობა ფონეტიურ წერას ეკუთვნის ისტორიულთან შედარებით). ამ მოვლენას ყოველ ენაში აქვს ადგილი, მაგრამ გრაფიული გამოხატულება მან ჰოვია მხოლოდ ზოგიერთში.

თუ კი შესაძლებელია ვილაპარაკოთ სიტყვის, როგორც ერთეულის, არსებობაზე, ეს მხოლოდ სემასიურის (მნიშვნელობითი) თვალსაზრისით, ე. ი. არსებობს სიტყვა, რადგან ის აღნიშნავს ერთ განსაზღვრულ ცნების; მაგრამ რა ცნებას აღნიშნავს „ან“, „და“, „მიერ“, „ქვეა“? ესენიც ხომ სიტყვებია? მათ ეძლევა მნიშვნელობა მხოლოდ წინადადებაში, სინ-

ტაქსიურ ერთეულში. მართალია, „მაშალი“, „ხელი“, „თავი“... აღნიშნავს რეალურ საგნის წარმოდგენას. მაგრამ არ ვიცით 1) რა კონკრეტულ ურთიერთობაშია ეს საგნები სხვებთან: მაშალმა იყიდა თუ ის დაკლეს? ხელი ეტყინა თუ ხელით გააკეთა?.. 2) რომელი ერთი ვიფიქროთ: მაშალი ქათამი თუ ბატი? მარჯვენა (ან მარცხენა) ხელი თუ ღოქის ხელი? ბოლოცის თავი თუ ქალაქის თავი? ამიტომ მხოლოდ კონტექსტში ეძლევა ამა თუ იმ სიტყვას განსაზღვრული მნიშვნელობა. მაშასადამე დამოუკიდებელი არსებობა მნიშვნელობის მხრივაც აქვს მხოლოდ სინტაქსიურ ერთეულს; ამ ერთეულის სიტყვებად დაყოფა ხდება ხელოვნურად, შეთანხმების ძალით პრაქტიკულ მოსაზრებათა გამო.

↓ ამას გარდა სიტყვასა და მის მნიშვნელობას შუა არ არსებობს შინაგანი განუწყრელი კავშირი. ჩვენ ვიცით, რომ სიტყვის ბგერითი მზარე არის აკუსტიური და მოტორული წარმოდგენა მის შემადგენელ ბგერათა. ასეთი წარმოდგენა (სიტყვა) შე შემიძლია მქონდეს ცნობიერებაში, გამოვთქვა ან დავსწეოთ კიდევ, მაგრამ მისი მნიშვნელობა კი არ ვიკოდე (მაგ. გაიზეოეთ ან დასწერეთ თქვენთვის უცნობი ენის რომელიმე სიტყვა); აკრეთვე შე შემიძლია მქონდეს წარმოდგენა საგნის შესახებ, მაგრამ მისი სახელი კი არ ვიკოდე. მხოლოდ მაშინ, როდესაც სიახლოვის ასოკიაციის ძალით პირველი წარმოდგენა (აკუსტიურ-მოტორული ანუ ბგერითი სიტყვა) დაუკავშირდება მეორე წარმოდგენას (საგნის შესახებ), — პირველი გახდება მეორის სიმბოლოდ, ე. ი. სიტყვას ეძლევა მნიშვნელობა. წარმოდგენათა ასეთი დაკავშირება რომ შემთხვევითია და არა განუწყრელი, ამის მოწმება მრავალ ენათა არსებობა: ერთ ენაში მოვლენის წარმოდგენის სიმბოლო ბგერათა კრებულის ერთი წარმოდგენაა, მეორეში მეორე; უბრალოდ რომ ესთქვათ: ერთი და იგივე საგანი ბგერათა სხვადასხვა კომპლექსით აღინიშნება სხვადასხვა ენაში. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ბგერა თავისთავად გამოხატავს სიტყვის შინაარსს; თითქოს ბგერა „ლოში“ თავისთა-

ვალ გამოხატავდეს სიძლიერეს, ან „აქლემი“ უწნობას და სხვა. სხვა ენაზე მოაზროვნესათვის შესაძლოა პირობით.

გავეცნოთ სიტყვის მნიშვნელობათა სხვადასხვაობას.

როცა ვამბობთ; „ოჯახი“, „ოვე“, „ტკივილი“, ზვენი ამით გამოვხატავთ საერთო ცნებას, რომელიც შეიცავს ამ რიგის ყოველ კერძო მოვლენას; სიტყვის ასეთ მნიშვნელობას ეწოდება აბსტრაქტული მნიშვნელობა. ხოლო როცა ვამბობ: „ჩემი სახლი“, „პარიაშობისთვე“. „ეს ტკივილი“, ასეთ მნიშვნელობას ეწოდება კონკრეტული, რადგან ცნობილია დროისა და სივრცის ფარგლებში. კონკრეტული მნიშვნელობა შესაძლოა იყოს განსაზღვრული და განუსაზღვრელიც. „წავიკითხე ერთი წიგნი“; უხადია, რომ „წიგნი“ აქ კონკრეტული მნიშვნელობა აქვს (რადგან აბსტრაქტული ექნებოდა, თუ ვიტყვი, მაგ. „წიგნი კარგი საქონელია“), მაგრამ ის ჯერ განუსაზღვრელია: თუ მე განეკუთვნება: „ამ წიგნმა მე დაშატებო“, აქ უკვე მნიშვნელობა განსაზღვრულია, რადგან მსმენელმა უკვე იცის, რომ ეს ის წიგნია, რომელიც მე წავიკითხე. მნიშვნელობის ამ განსხვავებაზე დაშვარებული განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლთა ხმარება იმ ენებში, სადაც, ასეთი შეინახა (მაგ. ფრანგ. და გერმან.).

ორი ან რამოდენიმე სიტყვა შესაძლოა გარეგნულად ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ეს მოვლენა ყოველთვის არ გულისხმობს ამ სიტყვათა მნიშვნელობის ერთსა და იგივეობას; მაგალითად: ხერხი (სამუშაო იარაღი) და ხერხი (მოხერხება), წერა—წერა (ბედის), და (ჩემი და)—და (კავშირი) და მრავალი სხვა. სიტყვათა გარეგნული ასეთი მსგავსება შესაძლოა იყოს ორგვარი პრაქტიკის შედეგი:

ა) გარეგნულად და შინაარსით განსხვავებული სიტყვები შესაძლოა სხვადასხვა ფონეტიურ ცვლილებათა გამო ერთმეორეს დაემსგავსოს. გარეგნულად, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ განსხვავება ზინც რჩება; მაგალითად, ძველად იწერებოდა და ითქვოდა დაჰ; მაგრამ დროთა განმავლობაში ჰ დიკარგა

და სრულიად შემთხვევით დაეხსავება და კავშირს; შესაძლოა რომ ამგვარივე პროცესის შედეგი იყოს წერა წერა-ს, ხერხი-ხერხის გარეგნული მსგავსება. ამ მაგალითებში ჩვენ გვაქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა

ბ) შესაძლებელია, რომ ერთმა განსაზღვრულმა მნიშვნელობამ მიიღოს სხვა და სხვა სახე ასოკიაციის წყალობით; მაგალითად: გული (კაცის გული, ძხილის გული, ხელის გული და სხვა), წიგნი (დაბეჭდილი წიგნი, ბარათი), კბილი (აღამიანის კბილი, ხერხის კბილი და სხვა); ამიტომ ერთი და იგივე სიტყვა იხმარება თითოეული სახის აღსანიშნავად. აქ ჩვენ გვაქვს ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა სახეობა.

ჩვენ ხშირად ვუიქრობთ, რომ ე. წ. სანონიმების საშეაღებით გამოვხატავთ ეოზსა და იმავე წარმოდგენას: მკვეთრი, ბასრი, მკუე-ლი; ცოლი, შეუღლე; ესტეხ, ილეწ, ვამსხვრევე, ვამტყრევე; ძალი კოფაკი. სინონიმური სიტყვების მნიშვნელობა რომ იდენტური არ არის, ეს ცხადია, რადგან ერთ შემთხვევაში ერთს ვხმარობთ და მეორეში სხვას, ესეიგი ჩვენ არჩევანს ვახდენთ მათ შორის გარემოების მიხედვით. რაზედ ვაპყარებთ ამ არჩევანს? რით განსხვავდება ერთი სინონიმური სიტყვის მნიშვნელობა მეორისაგან? განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ძირითად წარმოდგენას ეუთვის ვარეშე წარმოდგენა ან გრძნობა და ამ დართულის ხასიათის შესაფერად ვახდენთ არჩევანს სინონიმურ სიტყვათა შორის: როდესაც „ძალი“-ს მაგიერად ვამბობთ „კოფაკი“-ს, ამ ოთხფეხის შესახებ ძირითად წარმოდგენას ვმეტება ვარეშე წარმოდგენა მდარე ჯიშის წესახებ; როცა დედაკაცის ნაცვლად ვამბობ მანდილოსანს, აქ ძირითად წარმოდგენას ვმეტება მორიდების ან პატივისცემის გრძნობა; სილამაზის აღსანიშნავად ჩვენ ვიტყვი: ლამაზი, ტურფა კკლუსი — იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა განცდილი სილამაზე: მწერლის ან მოსაუბრის ენამახვილობა, ორატორის მკვერმეტყველება, ზრდილობით და პატივისცემით ლამაზაკი დაჰყარეზული ვარეშე წარმოდგენათა და გრძნობათა შესაფერი სი-

ტყვებით გამოხატვაზე; მკითხველის ან მსმენელის სულიერი განწყობილება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გარემოე წარმოდგენები და გრძნობებია ძირითადად გარდა შეტანილი ნაწერში ან ნალაპარაკეში. ეგრედ წოდებული დემაგოგია სწორედ მით ხიბლავს ბრბოს, რომ გადამეტებულად შეაქვს ლაპარაკში გარემოე გრძნობები და ამით ჩრდილავს მსმენელებში ლოლიკურ აზროვნებას.

გარემოე გრძნობათა გამოსახატავად სიტყვების დარჩევას გარდა ჩვენ ძალიან ხშირად ვსარგებლობთ ხმის მოდულიაციით, ტემპით, ხმის ამაღლება-დაბლობით, მახვილით და სხ.: ერთი და იგივე სიტყვა ითქმის ხმის მრავალგვარი ინტონაციით სულიერი განწყობილების მიხედვით. დაუკვირდით, როგორ ითქმის, მაგ., „ვხედავ“ სიმშვენიერით დამტკბარ აღმამანისაგან ან უბედურების მოლოდინში მყოფისაგან, ან რაიმე საგანთან დაშორებული მოსაუბრისაგან და სხ.

ჩვენ ვიცით, რომ განსაზღვრულ ფარგლებში გამოთქმა ინდივიდუალურია, ესე იგი ერთსა და იმავე ბგერას ან სიტყვას ორი პიროვნება ოდნავ მაინც განსხვავებულად გამოსთქვამს. მაგრამ სიტყვის მნიშვნელობითი მხარე გაცილებით უფრო ინდივიდუალურია, რადგან ის არის უფრო რთულ ფსიქიურ პროცესთა შედეგი, ვიდრე ბგერა. სიტყვის მნიშვნელობა იქმნება ჩვენს ცნობიერებაში იმის მიხედვით, თუ რა წრეში და რა პირობებში გვიხდება ცხოვრება, განვითარების რა დონეზე ვდგევართ, რა ხელობას მივსდევთ და სხვა. როცა ბავშვს ესმის „ცხენი“, შესაძლოა მან წარმოიდგინოს ჯოხი, რომელზეც ის ზის, ან სათამაშო უსულო ცხენი: როცა მიწის მუშას ესმის „თოხი“, მას ჩვეულებრივ წარმოუდგება ტარიანი თოხი, მკედელსკი ჩვეულებრივ უტარო; გაუნათლებელთა წრეში „განათლებული კაცი“ ეწოდება ისეთ კაცს, რომელმაც წერაკითხვა იცის ან განათლებულთა წრეში რამოდენიმე ხანი დაჰყო; ჩვენი „საზომი კი სულ სხვა არის. თუ ბავშვს „ზღვა“ შეუთვისებია მხოლოდ სკოლაში რუკის საშვა-

ლებით, ნამდვილი კი არ უნახავს, მისი წარმოდგენა ზღვის შესახებ დიდად განსხვავდება იმის წარმოდგენასთან ამავე საგნის შესახებ, ვისაც ნამდვილი ზღვა უნახავს; შემჩნეულია, რომ ზღვის სიღიღის შესახებ წარმოდგენა ფრად სუსტა აქვს მას ვისაც ზღვა არ უნახავს.

ამას გარდა ზოგჯერ ერთი და იმავე პიროვნებისთვისაც საჭიროა განსაზღვრული პირობები, რომ ამა თუ იმ სიტუაციით მასში აღებრათ ის წარმოდგენა, რომელიც გვსურს. როცა ჩვენ ვაპბობთ „ვენახე პარა“, მაშენელა წარმოიდგენს ან სამუშაო იარაღს და ან ადგილს იმის მიხედვით, თუ რაზედ იყო ლაპარაკი, ან რას ვიტყვით შეპდეკ; მაშასადაე, ასეთ შემთხვევებში მით უფრო სწრაფად ვაღწევთ მიზანს (აღუუქრკეთ მსმენელს სასურველ წარმოდგენას) რაკ უფრო მეტადა მსმენელი ფსიქიურად წინასწარ განწყობილა: „კუდი ნიშანი“ სკოლაში ერთს ნიშნავს და ჩვეულებრე სავს (კუღას მოპასწავებელა); ჩვენში როცა იტყვიან. „ქალაქში მივდივარ“-ო, მრავალი ჩვენგანი წარმოიდგენს „ტუილისში მივდივარ“-ს, „წყარო“ ს გაგონებაზე ჩვენ შეკვამლია წარმოედგინოთ წყალიც და „ისტორიის წყაროც“ იმის მიხედვით, თუ რაზედაა საზოგადოდ ზაასი.


განვიხილოთ მნიშვნელობის ცვლალება-განვითარება.

რადგან სიტყვის მნიშვნელობა არის განსაზღვრული ცნება, რომელიც შესაძლებელია იკვალოს დროთა განმავლობაში, კულტურული და ფსიქიური პირობების მიხედვით, აქედან ცხადია, რომ იცვლება სიტყვის მნიშვნელობაც. მრავალ სიტყვას დაკარგვია თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მაგრამ თოთ სიტყვა კა შერჩენია ენას, თუ ამ სიტყვას სხვა ახალი მნიშვნელობა შეუქმნია; თუ არა—სიტყვაც დაკარგულა, ესე იგი ხმარებიდან გაშოსულა. როდესაც ცხოვრების პირობები კმნის ახალ ცნებას, მის აღსანიშნავად ენა სარგებლობს ან უცხო სიტყვით (თუ ცნებაც ნასესხებია), ან ენაში უკვე ხმა-

ვანს ეუწოდებთ განსაზღვრულ ადგილს და არა ყოველ ადგილს სადაც ბგერი ვაშლია და სხვა.

ყოველ ენაში არის ისეთი სიტყვები, რომელთაც აქვს განსაზღვრული ყველასათვის ცნობილი მნიშვნელობა, მაგრამ ამ მნიშვნელობის აღსანიშნავად იხპარება სხვა სიტყვა, როგორცაა შესაძლებელია ქონდეს თავისი საკუთარი სხვა მნიშვნელობაც; ეს ხდება სხვადასხვა მოსაზრებებით, მაგალითად, მოკრძალების, შიშის, ზრდილობის და სხვა ამგვარი რისამე აღსანიშნავად. მაგალითად, ჩვეულებრივ საუბარში ამბობენ „უწუნო“-ს გველის ნაცვლად, „პერანგის ამხანაგს“ ქვედა საცვლის სახელის ნაცვლად და სხვა. სიტყვის ამგვარ არაპირდაპირი მნიშვნელობით ხჩარებას ეწოდება გვთქმისში (ბერძნ. eufemism — სიტყვის სასიამოვნოდ თქნა). ძველი ბერძნები შუარისძიების ქალღმერთებს უწოდებდნენ ევმენიდებს, ესე იგი კეთილის მსურველთ. შესაძლებელია ეს არაპირდაპირი მნიშვნელობით ხჩარებული სიტყვა ენას შერჩეს და ჰივიან ღელა კი დაიკარგოს ან სხვა მნიშვნელობა მიიღოს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ერთ თაობას ეთაკილებოდეს რომელიმე სიტყვა, მეორეს კი არა; დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შრავალი სიტყვა, რომელთა თქმა დღეს სასიარცხოდ ითვლება ძველის ძველად სათაკილოს არაფერს წარმოადგენდა... „საყვარელი“-ს თქმა დღეს ჩვენ „ყურს ეხაპუშება“, თავის დროზე კი უმკველია მას ქონდა დააბლოკებით „სატრფო“-ს მნიშვნელობა; მოსალოდნელია „სატრფო“-საც ასე დაემართოს და „საყვარელი“-მა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაიბრუნოს. ანალოგიურია გერმანული Minne-ს და Liebe-ს თავდად-სავალი: საშვალო საუკუნოებში ეგრედწოდებული მინნენ-ზინგერები მალალი სიყვარულის გამოსახატავად ხჩარობდნენ Minne-ს, რადგან Liebe მაშინ ტლანქ გრძნობიერებას გამოხატავდა; მაგრამ მას შემდეგ Minne იმდენად გავრცელდა და გაუბრალებდა, რომ მიიღო საძრახისი დაპოკიდებულობის მნიშვნელობა; ამიტომ Liebe-მ მიიღო მალალი სიყვარულს მნიშვნელობა.

აღსანიშნავია აგრეთვე უცხო სიტყვათა ევფემისტური ხმარება. უცხო სიტყვა, რაც უნდა სათაქილო მნიშვნელობის იყოს, უფრო ზეტის თავისუფლებით იხმარება, ვიდრე იმავე მნიშვნელობის შობილური სიტყვა. თავისთავად ცხადია, რომ თუ უცხო სიტყვაც ჩვეულებრივ ხმარებაში შევიდა, მასაც ის ბედი ეწევა, როგორც შობილურს (მაგ. კლოზეტი—ინგლ. closet). რაც შეეხება ადამიანის აგებულობის ნაწილთა სახელებს, აქ უმეტეს ნაწილად მეცნიერული ტერმინოლოგიით ვსარგებლობთ და, რადგან ისინი ყოველდღიურ სახმარებლად არ ქცეულა, ამიტომ უფრო მეტად უძლებენ ხსენებულ პროცესს.



ლექსია მითოზებში.

საზოგადო გრამატიკა. წინადადების განსაზღვრა: ხედა, გენდტი. ორწევრადანი მარტივი წინადადება: მასი სხენა. უსრულა წინადადება. უსრულებელი წინადადება. მარტივი გავრცელებული წინადადება. რთული წინადადება. „შემოკლებული“ დამოკიდებული წინადადება. ენას საშვებებთან სინტაქსური მნიშვნელობათა გამოსხვატვად: დაბოლოებანი, სიტყვათა წეობა მარფოლოგიური ნაწილები: ძირითადი და ფორმალური კეთვნალებანი: ფორმანტა. მარფოლოგიური ნაწილთა რეკური არსებობა. ფორმანტა მწარმოებელი და მკვლედი. ფლესია. რეღეზაყცია. კომპოზიტები. სამეტრელო ნაწილები საკეთარი მნიშვნელობით და უაქასოდ ბრუნება მასი და მასი ფორმები.

აქ ლექსიაში განზრახულია საზოგადო გრამატიკის (მორფოლოგიის და სინტაქსის) მოკლე მიმოხილვა. მორფოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს სიტყვის სხვა და სხვა ფორმებს და ამ ფორმათა მნიშვნელობას; სინტაქსი იკვლევს წინადადებათა სხვა და სხვა ფორმებს და მათ მნიშვნელობას.

რადგან სიტყვის ფორმებს ექლევა განსაზღვრული მნიშვნელობა მხოლოდ წინადადებაში, აქრამ განვიხილოთ ჯერ წინადადების საკითხი. *) რა არის წინადადება?

*) წაახული საეყენის მეორეოყდაათე წლებად გრამატიკაში გამეღებული იყო ე. წ. ლოლიყენი მიზარელება, ამ მიზარელებს აზრით წინადადება უღრის ლოლიყერ განსჯას. H. steintl მა საეღასამეღამოდ დაარღვია ეს შეხეღელება თაის Grammatik, Logik und Psychologie. Berlin 1856 ში. ლოლიყა ერთი შეეღა ხალხისა და დროისათვის, გრამატიკა კი სხვა და სხვა ნაირი თაეღელი ენი-სათვის; ყერამოდ ერთი და იგივე განსჯა შეიქლეღა გრამატიკულად გამოითქვას სხვა და სხვა ნაირი ფორმით და სხვა.

H. Paul ასე განსაზღვრავს წინადადებას: „წინადადება არის ენობრივი გამოხატვა, სიმბოლო იმისა, რომ მოლაპარაკის სულში მოხდა რამოდენიმე წარმოდგენის ან წარმოდგენათა კვლევის შეერთება, და საშუალება იმისთვის, რომ გამოაწეროს მსმენელის სულში იმავე წარმოდგენათა იგივე შეერთება“ (Prinzipien der Sprachgeschichte, 1909, § 45). ამას თითქოს ეწინააღმდეგება ეუნდტის ასეთი განსაზღვრა: „წინადადება არის ენობრივი გამოხატვა მთლიანი წარმოდგენის შეზღვეულ ნაწილებად დანაწევებისა...“ (Völkernpsychologie, die sprache II, 214 გვ). ჯენის აზრით პაული და ეუნდტი აღნიშნავენ ენობრივი აზროვნების სხვა და სხვა რომენტს და აქედან წარმოსდგება მათი განსაზღვრის სხვა და სხვაობა; როცა მე ვამბობ: „ძალი ცხოველ“, აქ მთლიანი წარმოდგენა მართლაც ნაწევრდება, მაგრამ როცა ვამბობ: „ეს ავადმყოფი მოჩვენა“, აქ რამოდენიმე წარმოდგენა (მსუბუქი ავადმყოფობა, კარგი მოვლა, მაგარი აკვებულობა) ერთდება. რაც შეეხება მსმენელს, მისთვის ხდება მხოლოდ შეერთება.

ორწევრიანი (ქვემდებარე და შექმნილი) მარტვი წინადადება სამგვარია: ა) საერთოდ ფაქტის აღმნიშვნელი, მაგ.: მუხა წაიქცა; ბ) კლასიფიკაციური, მაგ.: მუხა ხეა გ) თვისების ანუ რომელიმის გამოხატველი, მაგ.: მუხა მკვარია. ფორმალური განსხვავება მათ შორის იქნება, რომ პირველ შემთხვევაში (მუხა წაიქცა) ქვემდებარეს მიეწერება განსაზღვრული ნიშანი (წაიქცა) მხოლოდ ზმნის საშვალეებით; ხოლო ორ დანარჩენში (მუხა ხეა, მუხა მკვარია) — არსებითი სახელის და ზედსართვის საშვალეებით, რომელთაც ემატება შეწევობათი ზმნა (აააააა), მოყვანილ მაგალითებში აზრი გამოხატულია ობიექტურად; მაგრამ თითოეული მათგანის თქმის დროს შესაძლებელია ადგილი ქონდეს აგრეთვე სუბიექტურ მომენტსაც, ესე იგი გამოიხატოს ჯენი გრძნობა ან ნებისყოფა: შევიქვით ვსთქვათ სიხარულის გრძნობით (ხე წაიქცა!) ან ნებისყოფის გამომტყაფებით (ხე წაიქცეს!) და სხვა. ამ თვალსაზრით თი-

თეული ხსენებული კატეგორიის წინადადება შესაძლებელია იყოს: 1) მოთხრობითი, 2) ემოციური და 3) ნატურა-ბრძანებრივი სახის; საშივე სახე გამოიხატვის დადებითად ან უარყოფითად. ამას გარდა მოთხრობით სახეს შესაძლებელია ქონდეს კითხვის (მუხა წაიქცა? კითხვით წინადადებაში მკითხველისათვის უცნობია აზრის რომელიმე ნაწილი) და პასუხის ფორმა (წაიქცა), რომელიც ჩვეულებრივ იძქმის მხოლოდ მოკლედ ანუ უსრული წინადადებით.

თავის თავად ცხადია, რომ ეგრედ წოდებული უსრული წინადადებაც ორწევრიანია, რადგან წინადადების მეორე წევრს არ გამოეხატავთ მხოლოდ ინიტომ, რომ ეს თავისთავად იგულისხმება, ესე იგი შესაფერი წარმოდგენა უკვე აღძრულია ან კითხვის საშვლებით, ან გარემოების მიხედვით, ასეთია, მაგალითად, უსრული წინადადებანი: „მე“ („ვინ დასწერა“ კითხვაზე), „არა“ („შენ დასწერე?“ კითხვაზე), „სწერე“ და სხვა. თავისებური აგებულობისა ე. წ. ერთ წევრიანი უსუბიექტო წინადადება: „წვიშ“, „ორეს“ რუს. „смеркается“ (ბინდდება), ლათ. „pluit“ (წვიშს) და სხვა, სადაც მომქმედის შესახებ წარმოდგენა არ არის აღძრული. უსუბიექტო ანუ უპროვინო წინადადების ფორმებს ზოგნი სთვლიან ორწევრიანისგან შემოკლებულად; ჰქვნი კი ფიქრობენ, რომ ეს არის მათი პირვინდელი სახე. რადგან უსუბიექტო წინადადებებში ზნა მესამე პირზეა და იძქმის სოცელთვის ისეთი მოვლენა აღინიშნება, სადაც ძველი დროის ადამიანი ღვთაებას ჩაურევდა და ხოლმე, ანტროპო-საფიქრებელია მათი ორწევრიანი წინადადებისგან განვითარება.

მარტივი წინადადება შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ ორწევრიანი, არამედ გავრცელებულიც (მრავალწევრიანი); ეს ხდება მაშინ, როცა ქვემდებარეს და შესმენილს გარდა მათთან ერთად უნდა გამოიხატოს სხვა წარმოდგენა, რომლითაც განისაზღვრება ქვემდებარე ან შესმენილი (ან ორივე): მაღალი მუხა მხუილით წაიქცა; წინადადება ვრცელდება აგრეთვე

ახალი საგნის (დამატება) და გარემოებათა აღსანიშნავად: დურგალმა მაგიდა გააკეთა; საათი კედელზე კილია...

როდესაც ორი წინადადება (ორ ან მეტწევრიანი) ერთი მეორეს უერთდება იმ სახით, რომ ერთი შეადგენს მეორის ნაწილს, ამას ეწოდება რთული წინადადება; შესაძლებელია აგრეთვე რამდენიმე წინადადების გაერთიანებაც ერთ რთულ წინადადებად. გაერთიანება ხდება ნაცვალ სახელთა და ზმნისართების შემწვობით (რომელი, რომელიც, როცა, რომ, სადაც და სხვა): მე ვხედავ, რომ შენ შრომობ; ხადაც სიყრმითვე ვჩვეულებარ, ჩემი სამშობლო ის არი; მე მგონია, რომ ის კაცი, რომელსაც გუშინ გავეცან, ჭკარჯი კაცია. რთულ წინადადებაში ერთს ეწოდება მთავარი წინადადება, დანარჩენს — დამოკიდებული. ჩვეულებრივ დამოკიდებული წინადადება იწყება შემავრთებელი სიტყვებით (რომ, სადაც და სხვა).

რთული წინადადებით გამოსატყქელი აზრი ზოგჯერ შესაძლებელია მარტივი წინადადებით გამოითქვას: მე მოვალ, მზე რომ ჩავა—მე მოვალ მზის ჩასვლისას; მე გავაჯავე შრომა, რომელიც შარშან დაიწყე—შარშან დაწყებული შრომა გავათავე. ასეთ შემთხვევებში სრულიად არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს აქ ხდებოდეს სრული დამოკიდებული წინადადების „შემოკლება“, ესე იგი, თითქოს მოკლე განვითარებულიყოს სრულისაგან; იმდენივე უფლება გაქვს (თუ მეტი არა) ვიფიქროთ, რომ მოკლესაგან განვითარდა სრული დამოკიდებული წინადადება. ნამდვილად კი, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ სხვა და სხვა ენათა განვითარების ისტორია, მოკლე და სრული დამოკიდებული წინადადებები არსებობდნენ პარალელურად ერთისა და იმავე აზრის გამოსახატავად...

ვრცლად წინადადების საკითხები განხილული იქნება საენტაქსის სპეციალურ კურსში; აქ კი ვიტყვი მოკლედ იმის შესახებ, თუ რა საშვალეებანი აქვს ენას სინტაქსიურ მნიშვნელობათა გამოსახატავად, ესე იგი, რა საშვალეებით აღი-

ნიშნება იმ წარმოდგენათა ურთიერთშორის განწყობილება. რომელნიც წინადადებას შეადგენენ.

როცა ჩვენ ვაშბობთ „ძალმა კურდღელი დაიჭირა“, აქ წარმოდგენათა ურთიერთობა გამოხატულია დაბოლებებით (მა, —ი, —ა), ზმნაში აგრეთვე თავსართით (და—), „ძალი კურდღელს იჭერს“: აქ სხვა ურთიერთობაა იმავე წარმოდგენათა შორის და ეს განსხვავება გამოხატულია იმავე სიტყვათა სხვა დაბოლოებით. მაშასადამე, ამ მაგალითებში სინტაქსიური მნიშვნელობის გამოსახატავად ქართული ენა სარგებლობს სიტყვის დაბოლოებათა ცვლით. მაგრამ როცა ვაშბობთ „მე ვდგე-ვარ მაგიდის ახლო“, აქ დაბოლებას გარდა ურთერთობა გამოხატულია „ახლო“-თი. ამგვარ სიტყვებს (შემდგომ, უკან, წინ, ქვეშ და სხვა), რომელნიც წინადადებაში აღნიშნულ წარმოდგენათა შორის აყარებენ განსაზღვრულ ურთიერთობას, ეწოდება ფორმალური სიტყვები, რადგან მათი დანიშნულება ისეთივეა, როგორიც სიტყვის ფორმებისა ბრუნებასა და მიზობრაში. ამას გარდა სინტაქსიურა მნიშვნელობა გამოიხატვის წინადადებაში სიტყვათა ამა თუ იმ წყობით: ძმას სურს დას კალამი მისცეს; „ძმას“ და „დას“ ორივე მიცემით ბრუნებაშია; „ძმას“ ასრულებს ქვემდებარის დანიშნულებას იმიტომ, რომ ის წინადადებაში პირველ ადგილასაა; საკმაოა ამ წინადადებაში „ძმას“ და „დას“ სიტყვებს (დაბოლების უცვლელად) ადგილი უცვალათ, რომ აზრი სრულიად შეიცვალოს. უფრო ცხადად ეს მოვლენა ხიანს იმ ენებში, სადაც ფლექსია დასუსტებულია, მაგალითად, ინგლისურში და ფრანგულში: ფრანგ. le père appela Jean; დაბოლების მიხედვით სრულიად არა სჩანს ვინ ვის ეძახდა,—ხოლოდ სიტყვათა წყობა გვიჩვენებს ქვემდებარეს. განსაკუთრებით ხშირად სარგებლობს სიტყვათა წყობით ეგრევეწოდებული „ძირეული“ ენები, მაგ. ჩინური იგს tã ni [შე გცენ შენ]—ni tã იგს (შენ მცემ მე). დანარჩენი საშვალებანი განხილულ იქნება მორფოლოგიასთან ერთად.

სიტყვის იმ ნაწილს, რომელთანაც სიახლოვის ასოციაციის ძალით დაკავშირებულია განსაზღვრული მნიშვნელობა, ეწოდება მორფოლოგიური ნაწილი. „ძალა-მა“: ძირითადი მნიშვნელობა აქ დაკავშირებულია „ძალა“ ბგერათა კომპლექსთან; მაგრამ „მა“ კომპლექსიც გვიჩვენებს განსაზღვრულ რასმე, სალდობრ იმას, რომ ძირითადი ნაწილით გამოხატული არსება მომქმედია. მაშასადამე, ჩვენი განსაზღვრის ძალით „ძალა“ წარმოადგენს ორ მორფოლოგიურ ნაწილს, რომელთა შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი (ძალა) ატარებს ძირითად მნიშვნელობას, მეორე (მა) მხოლოდ ფორმალურს. ამიტომ ყოველი სიტყვა, რომელსაც კი შეუძლია იცვალოს (ბრუნებასა და მიმოხრაში ან სხვაგვარად), შესდგება ორი მორფოლოგიური ნაწილისაგან: ძირითად მნიშვნელობას და მის გამომხატველ ბგერათა კომპლექსს ეწოდებთ ძირითად კუთვნილებას; ფორმალურ მნიშვნელობას და მის გამომხატველ ბგერათა კომპლექსს — ფორმალურ კუთვნილებას ანუ ფორმანტს. „მ-მომ-ელ-ი“: ამ სიტყვაში მ, ელ, ი არის ფორმანტი, შობ არის ძირითადი კუთვნილება,

მორფოლოგიური ნაწილები რომ არაა ფიქცია, არამედ ისინი რეალურად არსებობენ ჩვენს ცნობიერებაში, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მათი საშვალეებით ვაწარმოებთ ისეთ სიტყვებსაც, რომელიც შესაძლოა არცკი გავვეგონოს, მაგალითად: მო-კრიტიკ-ე (მო და ე ფორმანტებით ვისარგებლეთ ისე, როგორც „მო-საუბრ-ე“-ში), ჯორ-ოსანი (ოსანი ფორმანტით ვისარგებლობთ ისე, როგორც „ცხენოსან“-ში) და სხვა.

ფორმანტი ორგვარია: ა) ფუძის მწარმოებელი, მაგალითად მ-, ელ (მ-ყუთებ-ელ), მო-, ო (მო-თეთრ-ო), მე-, ე (მე-ნავე-ე) უ-, ეცი (უ-ბურ-ეცი) და სხვა, რომელნიც უერთდება ძირითად კუთვნილებას (-ყუთებ-, -თეთრ-, -ნავე-) და ამგვარად აწარმოებს სიტყვის ფუძეს (მყუთებელ, მოთეთრო, მენავე უთეთრეს). მაშასადამე, ფუძე არის ძირითადი კუთვნილება — მწარ-

მოებელი ფორმანტი.*) ამ კატეგორიის თავისებურ ფორმანტს წარმოადგენს ვგრედ წოდებული ალტერნაცია (მორიგეობა) ხმოვანთა, რომლის საშვალეობითაც ჩვენ განვასხვავებთ ხოლმე ერთი სახის ზმნას მეორესაგან, მაგალითად. რუსულში: **BEY** **BOYU**; **HECY**, **HOYU** და სხვა.

ბ) სიტყვის მცვლელი ფორმანტი ანუ ფლექსია, რომელსაც უწოდებენ აგრეთვე სიტყვათა სინტაქსიურ კუთვნილებას, რადგან ფლექსია წინადადების სიტყვათა შორის ამყარებს განსაზღვრულ ურთიერთობას. ასეთია უმთავრესად, მაგალითად, ქართულში და აგრეთვე მრავალ ინდო-ევროპულ ენებში ბრუნვათა და მიმოხრათა დაბოლოებანი: კაც-ი, კაც-ს, კაც-მა...; სწერ-ს, სწერ-და, სწერ-ოს...; terr-ae, terr-am... ზოგიერთ ენებში ფლექსიის დანიშნულებას ასრულებს მახვილი (მაგ რუსული **ГОЛОВЫ́**—**ГОЛОВЫ**), და ხმის სიმაღლე (მაგ. ძველ ბერძნულში, რომელსაც შერჩა მუსიკალური ხმის აზალებმა). შესაძლებელია აგრეთვე დაბოლოებათა განსხვავება გამოიხატოს ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლეში, მაგ. ლათინურში **terra** (nominat.)—**terrā** (ablat.). ფლექსიის მაგივრობას ზოგიერთ ენებში ეწევა ხმოვანთა ალტერნაცია, განსაკუთრებით სემიტურში და ზოგჯერ ინდო-ევროპულშიც (**Vater**—**Väter**); ამ მოვლენას ეწოდება შინაგანი ფლექსია*).

საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ენა, განსაკუთრებით ინდო-ევროპული ენები, ფუძის საწარმოებლად სარგებლობენ ძირითადი კუთვნილების (მთლად ან ნაწილობრივ) გაორკეცებით (რედუქლიკაცია); უმეტეს ნაწილად გაორკეცება ხდება

*1 ფუძის მწარმოებელი ფორმანტი შესაძლებელია იყოს თავსართი (პრეფიქსი); მ-, მო-, სა-და სხვა, შესართი (ინფიქსი); **lunę** **lunęm** და ბოლოაართი (სუფიქსი). ელ-ალ-და სხვა; ყველა ამით საერთოდ ეწოდება აფიქსები.

*2 ხმოვანთა ალტერნაცია შესაძლებელია იყოს აგრეთვე ფუძის მწარმოებელი სახეთა განსახვავებლად, როგორც ეს დავინაბეთ რუსულ ზმნაში (**BEY** **BOYU**).

ზნეში: ბრძნ. *didōmi*, ძველინდ. *dādāmi*, სლავური *дѣдѣти* (= *дѣдѣти*) „ვძალე“. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ხდებოდა ისეთი შოკქედების გამოსახატავად, რომელიც წარმოდგენილი იყო განმეორებულად ან ინტენსიურად.

ყოველ ენას სჭევია რამოდენიმე ძირითადი კუთვნილების (ჩვეულებრივად ორისა) ერთ სიტყვად გაერთიანება; ასეთ გაერთიანებულ სიტყვას ვუწოდებთ რთულს ან კომპოზიტს: მხარგრძელი, ცხრათვალა, დევგმირი და სხვა. იმის მიხედვით, თუ კომპოზიტის რომელ ნაწილშია მნიშვნელობის ცენტრი, ინდოელ გრამატიკოსთა მიერ შემუშავებულია კომპოზიტთა სამი მთავარი ტიპი^{*)}: ა) *tatpuruṣa* (*determinativa*) ეწოდება ისეთ კომპოზიტს, რომელშიც მთავარ მნიშვნელობას ბოლო წევრი ატარებს და ეს ბოლო წევრი განსაზღვრულია პირველი წევრით; *tatpuruṣa* ს აქვს ორგვარი სახე: საკუთარე *tatpuruṣa* და *karmadhāraya*; როცა პირველი სახის *tatpuruṣa* ს დაეშლით, პირველი წევრი აღმოჩნდება რომელიმე არაპირდაპირ ბრუნვაში, მაგალითად, ხელმოუწდომელი (ხელით მიუწდომელი), წყალწადებული (წყლისაგან წადებული); *Karmadhāraya* განსხვავდება პირველი სახისაგან მით, რომ დაშლის დროს კომპოზიტის ორივე წევრი ერთსა და იმავე ბრუნვაში დევმირი, ქალწული და სხვა. ბ) *bahuvrīhi* (*attributiva, possessiva*) არის ისეთი კომპოზიტი, რომელიც განმარტავს მის გარეშე მყოფ სიტყვას; მას ამიტომ აქვს ზედსართავი სახელის ფორმა და დაიშლება განმარტებითი დამოკიდებული წინადადების საშვალებით: თავლია (= რომელსაც თავი ღია აქვს), ცხრათვალა (= რომელსაც ცხრა თვალი აქვს) და სხვა. გ) *dvandva* (*copulativa*) ეწოდება ისეთ კომპოზიტს, რომელშიც ორთავე წევრს მთლიანისათვის თანასწორი მნიშვნელობა

^{*)} კომპოზიტთა ტიპები დამუშავებულია მათ მიერ მხოლოდ ძველი ინდური ენისათვის, მაგრამ საერთოდ გამოდგება მრავალ სხვა ენისათვისაც.

აქვს; დაშლა ხდება „და“ კავშირით: დედმაჰა (დედა და მამა), სასმელ საკმელი (სასმელი და საკმელი), ხელფეხი (ხელი და ფეხი) და სხვა.

განვიხილავ აგრეთვე მოკლედ / ე - წ - სამეტყველ ანუ სიტყვის ნაწილებს.

ყოველ ენას აქვს გრძნობის უშუაშავლოდ გამოხატველი სიტყვები; მათ ეწოდება შორისდებულნი: ახი ოხ! ვიი! და სხვა. ყველა დანარჩენი არის გონებრივ წარმოდგენათა აღმნიშვნელი სიტყვები; ზოგ მათგანს აქვს საკუთარი მნიშვნელობა და ზოგს არა, მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ, თანდებული, კავშირი და სხვა და სხვა ნაწილაკები არის მხოლოდ ფორმალური სიტყვები, რომელნიც მხოლოდ ამჟარებენ განსაზღვრულ ურთიერთობას საკუთარი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა შორის; ჩემს შემდეგ წახვალ; მე და შენ; ჩემს წინ მაგიდა სდგას და სხვა. საკუთარი მნიშვნელობის მქონე სიტყვებშიც დამოუკიდებელი არსებობა შეუძლია ქონდეს მხოლოდ არსებით სახელს, პიროვნებით ნაცვალ-სახელს (რომელიც იხმარება არსებითი სახელის ნაცვლად) და ზმნას; დანარჩენი სამეტყველო ნაწილები დამოკიდებულია მათგან.

საგანთა შორის ურთიერთ დამოკიდებულობა გამოიხატვის ამ საგანთა აღმნიშვნელ სიტყვების ბრუნებით (declinatio); თუმცა ბრუნვათა რიცხვი არ უთანასწორებს სხვა და სხვა დამოკიდებულობათა სიძრავლეს, მაგრამ ფორმალური სიტყვათა დახმარებით ენა აღწევს თავის მიზანს. სხვა და სხვა ენაში ბრუნვათა რიცხვი სხვა და სხვაა, მაგრამ უმთავრესი მათგანი შემდეგია:

ა) იმ საგნის სახელს, რომელიც მოქმედებასთან ისეთ დამოკიდებულებაშია, რომ საგანი მომქმედია, აქვს სახელობითი ბრუნვის დაბოლოვება: ბავში სწერს. წინადებაში ეს ბრუნვა ქვემდებარეა. ქართულში მომქმედი საგნის სახელი შესაძლებელია აგრეთვე მოთხრობით ბრუნვაში (ბავშმა დასწერა).

ბ) იმ საგნის სახელს, რომელზედაც მიმართულია მოქმედება, აქვს ბრალდებითი ბრუნვის დაბოლოვება (accusativus);

წინადადებაში დამატება: Я вижу столъ, лампу. ქართულ წინადადებაში მას უღრის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვა დავინახე ბავში, ვხედავ ბავშს.

გ) ორი საგნის ურთიერთ განწყობილება გამოიხატება ნათესაობითი ბრუნვით: ბავშვის წიგნი,

დ) თუ მოქმედება სწარმოებს საგნის სასარგებლოდ, ამ საგნის სახელი მიცემითია: ვაძლევ ბავშს.

ე) თუ მოქმედება სწარმოებს საგანთან ერთად, ამ საგნის სახელი კავშირობით ბრუნვაშია (sociativus): სწერს ბავშვთან.

ვ) იმ საგნის სახელი, რომლის შემწეობითაც მოქმედება სწარმოებს, დაიამის მოქმედებით ბრუნვაში (instrumentalis): ვსჯრი დანით.

ზ) ადგილობრივი ბრუნვით (locativus) გამოიხატება იმ საგნის სახელი, რომელშიდაც ან რომელზედაც მოქმედება სწარმოებს: დადის ოთახში, დაეცა იატაკზე.

წ) დაწყებით ბრუნვაში (ablativus) დაიშის იმ საგნის სახელი, რომლიდანაც მოქმედება იწყება და თან შორდება; აღსანიშნავია, რომ ლათინურ აბლატივში თავი მოიყარა ადგილობრივმა, მოქმედებითმა და დაწყებითმა ბრუნვამ. პირვანდელი დაწყებითი ბრუნვის მნიშვნელობა ნაწილობრივ შერჩა ablativus separationis-ს.

მოქმედება-მდგომარეობა გამოიხატვის ზნით; წინადადებაში ზნა ჩვეულებრივ შესმენილია. იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათისაა ქვემდებარესა და შესმენელს შორის დამოკიდებულობა, ზნა მიიღებს შესაფერ კილოს: ა) ფაქტიური დამოკიდებულობა გამოიხატვის მოთხრობითი კილოში (indicativus), ბ) შესაძლებელი ან საექვო-პირობითი კილოში (conunctivus), გ) სასურველი-ნატერიივი (optativus) და ბრძანებითი (imperativus) კილოებით. ზნას აქვს აგრეთვე შესაფერი ფორმები იმის გამოსახატავად, თუ ვის ეკუთვნის მოქმედება: ა) თუ მოქმედება მდგომარეობა ეკუთვნის თვით მოლაპარაკეს, ზნას აქვს პირველ პირის ფორმა (ესწერ), ბ) თუ მოქმედება

დაკავშირებულია მსმენელთან, მაშინ ზმნა მიიღებს მეორე პირის ფორმას (სწერ), გ) თუ მოქმედება მიეკუთვნება ვინმე (ან რაიმე) სხვას მოლაპარაკესა და მსმენელს გარდა, ზმნას აქვს მესამე პირის დაბოლოება. თუ რა დროს სწარმოებს მოქმედება, ამისთვისაც ზმნას შესაფერი ფორმები აქვს: ა) ისეთი მოქმედება, რომელიც ლაპარაკის დროს სწარმოებს, გამოიხატვის აწმყო დროის ფორმებით; ბ) თუ მოქმედება სწარმოებდა ლაპარაკის წინ, მაშინ ზმნა მიიღებს ნამყო დროის ფორმებს; გ) თუ მოქმედება წარმოდგენილია ლაპარაკის მომენტს შემდეგ, ზმნას აქვს მყობადი დროის ფორმა.

აღსანიშნავია აგრეთვე ეგრედ წოდებული *plusquamperfectum* (წარსული სრული) და *futurim exactum* (მყობადი სრული). ავ ფორმებით გამოიხატვის ისეთი მოქმედება, რომელიც სწარმოებს წარსულში ან მყობადში, მხოლოდ ეს მოქმედება წარმოდგენილია არა ლაპარაკის მომენტთან შედერებით, არამედ რომელიმე სხვასთან.



117
D. I

ლემცია მისუთმობა

ანალოგურა წარმოება: ხალხურ ენაში, სემწერლო ენაში, უგზო ენის შესწავლას დროს; მაგალითი ფრანგულიდან. დიფერენცია: სემსაური და მორფოლოგიური. ხალხურა ეტიმოლოგია: ჰარობები ამასთვის. სიტუვას მნიშვნელობა. გენეტურა, ისტორიული და რეალური. „სიუღარა“. გადაჯგუფება: ზედა, დაბა. კონტამინაცია.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ სალაპარაკო ენის სიკობცლვე გამოიხატება მის განუწყვეტელ ცვალებადობაში. იმასთანავე საქმაოდ ვრცლად განვიხილეთ ის კანონები, რომელსაც გმორჩილება ენის ბვერითი ცვალებადობა; შევებეთ აგრეუვე სიტუვის მნიშვნელობის ცვლას. დაგვჩა განსახილველად ის ფაქტორები, რომლითაც გამოწვეულია ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ცვლილებანი.

თქვენ ხშირად გაგიგონიათ ასეთი ფორმები: ესწერავ (ან ესწერამ), შებედენ, გასწიენ და სხვა, რომელიც ე. წ. ანალოგიურის წარმოების შედეგია. ანალოგიის პროცესი შემდეგში მდგომარეობს: თუ რაიმე მნიშვნელობა ასოციაციის წყალობით დაკავშირებულია ორ ან მეტ სხვა და სხვა ბვერით კომპლექსთან, ჩვეულებრივი ლაპარაკის პროცესში სჯობნის ის, რომელითაც ეს კავშირი უფრო მკვიდრია რაიმე მიზეზის გამო; დაკავშირებულობის სიმკვიდრე კი განისაზღვრება, მაგალითად, ფორმის ხშირი ხმარებით, მისი გამოხატველობითის სიძლიერით და სხვა. ამ განსაზღვრის ძალით ხსენებული მაგალითი ასე აიხსნება: ქართულში აწყო დროის პირველი პირის მნიშვნელობა დაკავშირებულია სხვა და სხვა ზნის განსაზღვრულ ფორმასთან (ვკლავ; ვსვამ; ვლენ, ვბვეტ...); რადგან ქართულში პირველი კატეგორიის ზნები მეტია (მაშასადამე-ამ, აუ...

უფრო ხშირად იხმარება) და ამასთანავე მას მეტი გამოხატველობითი სიძლიერე აქვს, ვიდრე დაბოლოებას სრულიად მოკლებულს (ვლენ, ვხვდ), ამიტომ ითქვა ვერაუ (-ამ) ვსვამ და ვკლავის ანალოგიით. იმავე მიზეზების გამო ითქვა შეხედენ და სხვა. სამწერლო ენის „კოდექსი“ გმობს ამგვარ ანალოგიურ წარმოებას; ამიტომ ეს მოვლენა უფრო გვერსელე-ბულია ისეთ ენებში, რომელთაც სამწერლო ენა ან სრულიად არა აქვთ და ან გვიან გაუნდათ. ამ მოსაზრებით, მაგალითად, ქართულში ფრიად მციოვ რიცხვი უნდა იყოს ანალოგიურ წარმოებათა, მით უფრო, რომ სამწერლო ენას ძველთაგანვე დიდი გავლენა ქონდა ხალხში... როცა ენაში ანალოგიით ნაწარმოები ფორმა უფრო ძველია სამწერლო ენაზე, მაშინ ეს ფორმა აუცილებლობის გამო შედის სამწერლო ენაში; მაგ. ბერძნ. *eisi* (*eisi* ს მაგვირად) *eimi*-ს მსგავსად (ესე იგი მოველოდით *spiritus asper*-ს, რადგან ძველ ინდურში გვაქვს *santi*; ნამდვილად კი გვაქვს *spiritus lenis*).

ამგვარი, სამწერლო ენისგან ზოგჯერ დასავლობი, ფორმებიც რომ არ ვინგარიშოთ, ისედაც ლაპარაკის ყოველ მომენტში ჩვენ აუცილებლად ვსარგებლობთ ანალოგიური წარმოებით: ენის შრავალ გვარ ფორმალურ საშუალებათა წყალობით (აფიქსები, ფლექსიები, მახვილი და სხვა) ჩვენ ხშირად ახალ ფორმასაც ვიხმართ, უცხო სიტყვასაც შევიტანთ მშობლურ ენაში, მაგრამ ჩვენი ენის ჩვეულებრივ ჩარჩოებს არ ვცილდებით: „გაპოლონელდა“ ვაპობთ ჩვენ „გაქართველდა“-ს მსგავსად; შკაფი, სტოლი (ი-ს ვუმატებთ ანალოგიით) და სხვა. ჩვეულებრივ ლაპარაკში ძნელი გაშოსაცნობია, რას ვაპობთ ანალოგიის საშუალებით და რას მხოლოდ რეპროდუქციით

განსხვავება ანალოგიის პირველსა (ვერაუ)... და მეორე (სტოლი) სახის შორის ისაა, რომ პირველ შემთხვევაში ენა იძეის ახალ ფორმას, მეორეში—არა. მეორე სახის ანალოგიური წარმოება განსაკუთრებით ცხადად სჩანს უცხო ენის შესწავლის დროს, როცა ვისწავლით რამოდენიმე პარადიგმს და დანარჩენ სიტყვებს ამის მიხედვით ვაწარმოებთ.

პირველი სახის ანალოგიის გასაშუქებლად მოვიყვან კიდევ მაგალითს ფრანგულიდან: ლათინურმა მოკლე a-მ ფრანგულში მიიღო ორგვარი სახე: a და ai; მაგალითად, ლათ. habeo = ფრანგულ ai (მაქეს), ლათ habemus = ფრანგ. avons (გვაქეს). მაშასადამე, მახვილიანი ლათინური a მოკლე იქცა ai-დ, მახვილიან მარცვლის (სტ) წინკი დარჩა a-დ.*). მაგრამ არის შემთხვევები, როცა ანალოგიის წყალობით ეს კანონი თითქოს ირღვევა. მაგალითად ლათინური amamus (გვიყვარს)-იდან მოველოდით ფრანგულში amons, ნამდვილად კი არის aimons. ასე მოხდა იმიტომ, რომ ეს ზნა ფრანგულში უმეტეს ნაწილად იწყებოდა კანონიერად ai-თ, რომელიც გაზოგადდა მრავლობითის პირველ პირისთვისაც. აქ რომ ანალოგიას უმოქმედნია, სჩანს იქედან, რომ ძველ ფრანგულში მართლაც არის amons. ამ მაგალითიდან ნათლად სჩანს ანალოგიის შემართანასწორებელი ანუ სხვა და სხვაობის მომსპობი მნიშვნელობა.

შესაძლებელია სხვა და სხვა მიზეზების გამო ენაში გაჩნდეს ორი ან რამდენიმე ერთი და იმავე მნიშვნელობის მორფოლოგიური ელემენტი, ან მთელი სიტყვა. (ჩვეულებრივ ეს ხდება უცხო ენიდან ან იმავე ენის დიალექტიდან სესხების გამო); თუ ასეთი ელემენტები შესაძლებელია შერჩეს ენას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს მიეცემა განსხვავებული მნიშვნელობის ნიუანსი. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ გაჭვი (მგერულიდან) და ძეწკვი (იმავე სიტყვის ქართული ფორმა) შერჩა ქართულს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულმა პირველი გამოისარგებლა დიდისათვის და მეორე პატარასათვის. ამ მოვლენას ეწოდება მნიშვნელობის დიფერენცია. რუსულში сторо́нн და срѣнн ერთი და იგივე სიტყვაა, მხოლოდ მეორე ნასესხებია ძველ სლავურიდან: რუსულმა ენამ შეიგუა срѣнн იმიტომ, რომ მას განსაზღვრული მნიშვნელობა

*) ამ კანონს აქვს ძალა მხოლოდ მაშინ, როცა ლათ. a ღია მარცვლია. ღია ეწოდება მარცვალს, რომელიც ხმოვნით ბოლოვდება.

დაუკავშირდა ამით აიხსნება უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვათა გამძლეობა ამათუ იმენაში: ხშირად გაგიგონიათ ალბად ჩვენში მეეტლეებისაგან „კალოსი“ (КОЛОСЬ), რომელიც მათ ცნობიერებაში დაუკავშირდა ეტლის „გოგორა“-ს; სხვა შემთხვევაში კი ისინი ქართულ სიტყვას ხმარობენ (მაგ. ურმისათვის და სხვა). სამწუხაროდ, ზოგჯერ სრულიად ზედმეტად, ასეთი სიტყვები ჩვენს ენაში ბევრია.

ბორფოლოგიური დიუფერენციაციისთვის გამოადგება შემდეგი მაგალითი ქართულიდან: მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად ქართულ სიხელებში გვაქვს ორგვარი დაბოლოება; წი (თა) და ები; დღევანდელ ქართულში თანდათან სუსტდება პირველის ხმარება და სჯობნის მეორე (განსაკუთრებით ხალხურში); მაგრამ „საზეიმო“ ლაპარაკის ან წერის დროს ხშირად მივმართავთ პირველსაც. მაშასადამე წი განაგრძობს არსებობას იმიტომ, რომ ის გამოხატავს განსაკუთრებული მნიშვნელობის მრავლობითს. ამ გვარადვე აიხსნება რუსულის ორი მრავლობითი, მაგალითად: СЫНЬ, СЫНОВЬЯ (პირველი ფორმა უფრო ძველია და იხმარება „საზეიმო“ ენით ლაპარაკის ან წერის დროს.)

აღსანიშნავია ეგრედ წოდებული „ხალხური ეტიმოლოგია“. ეს მოვლენა უმეტესად ხალხურ ენაში გვხვდება და იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი გააზრიანებს ხოლოვე მისთვის უცხო სიტყვას. ჩვეულებრივ ეს ხდება უცხო ენიდან შემოტანილ სიტყვებში, რომელნიც გარეგნულ (ბგერითი) მსგავსების ასოციაციის ძალით აღძრავენ ისეთი სიტყვის წარმოდგენას, რომელიც კარგად ცნობილია ხალხისათვის. რაც შეეხება მსგავსებას მნიშვნელობის მხრივ, ასეთი მსგავსება შესაძლებელია ან სრულიადაც არ იყოს, ან იყოს, მაგრამ ძალიან შორეული. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტია მნიშვნელობის მსგავსება ბგერითთან ერთად, მით მეტია შესაძლებლობა ხალხური გაზრიანებისთვის. არა მხოლოდ უცხო ენიდან შემოტანილ სიტყვას, არამედ თავის მშობლურსაც ამგვარადვე ააზრიანებს ხა-

ლბი, თუ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ჩისთვის ზვიწყებულა. ამ თავისებურ გააზრიანებას (უმეტესად უცხო სიტყვისას) ხშირად თან სდევს სიტყვის ფონეტიურად ცვლა ან აკუსტიური სუბსტიტუციის გამო და ან უცხო ბგერათა გამოთქმის სიძნელის გამო: ველოსიპედს ხალაში „ველისაბედს“ ეძახიან; გაუნათლებელი ქართველი ჯარისკაცი უნტერაფიცერს მულრეგ (ან უდრეკ) აფიცერს ეძახის (ზოგიც მუნდრაფიცერს); ფელდფებელი—ფეთბელი. ამ ომის დროს ძალიან გავრცელდა აკოფა (ОКОПЪ), შრაპნელი (შრაპნელი) და სხვა; უკვე მოხსენებული მქონდა ანდერძი ადრესის მაგივრად. გერმანული გვარი კოსტონდალენ რუსის ხალხმა გააზრიანა КОЗОДАВЛЕН-ად; რუსეთში უბრალო ხალხი ამბობს „Гуляварь“ „Суляварь“-ის მაგიერ და შრაველი სხვა.

თავისთავად ცხადია, რომ ხალხურ ეტიმოლოგიას შესაძლებელია ქონდეს იდგელი მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში; მაგალითად, ხსენებული მაგალითებიდან სჩანს, რომ თუ რომელიმე ენაში არის ისეთი სიტყვა (უცხო ან თავისი), რომელსაც არა აქვს (ან ალარა აქვს) განსაზღვრული რეალური მნიშვნელობა და თუ ეს სიტყვა აღძრავს ისეთი სიტყვის წარმოდგენას, რომელსაც რეალური მნიშვნელობა აქვს, მაშინ ხალხური ეტიმოლოგიისთვის ნიადაგი მზად არის.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რას ეწოდება ენაუმცენიერებაში სიტყვის რეალური მნიშვნელობა.

თქვენ ყველამ იცით, რომ „საყდარი“ იღნიშნავს განსაზღვრულ შენობას; ამ სიტყვის რეალური მნიშვნელობა დღევანდელ ქართულ ენაში არის „ქრისტიანული წესით ნაკურთხი საშლოცველო შენობა“ ძველად ეს სიტყვა ნიშნავდა ტახტს; მაშასადამე, ეს მნიშვნელობა იქნება უკვე ისტორიული. მაგრამ ამ სიტყვის ძირიალბად გვაქვს ისეთ სიტყვებში, როგორცაა მაგალითად ა-ყუდ-ღება, გ-ყუდ-რო, სა-ყუდ-არი და სხვა; მაშასადამე „საყდარი“ სიტყვის გენეტიური მნიშვნელობა კიდევ სხვა ყოფილა. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა, რომელსაც ჩვე-

ნი ძველთა ძველი წინაპრები რეალურად გრძნობდენ, დღეს იმდენადაა მივიწყებული, რომ მხოლოდ მეცნიერული კვლევით თუ აღვადგენთ მას (ზოგჯერ მეცნიერულადაც შეუძლებელი ხდება სხვა და სხვა მიზეზების გამო).

აქედან აშკარაა, რომ სალაპარაკო (და აგრეთვე დღევანდელ საწერლო) ენაში ძალა მხოლოდ სიტყვის რეალურ მნიშვნელობას აქვს; ამა თუ იმ სიტყვისთვის ისტორიული ან გენეტიური მნიშვნელობის მიკეპა და ამ გვარი მნიშვნელობით სახმარებლად მისი დაწესება შეიძლება მხოლოდ ხელოვნურად.

გენეზისის მივიწყების სხვა მაგალითები: სროლა (ისარი), უდაბნო (დაბანი), ნაპერწყალი (ბრწყინვა); რუსული ВОСТОКЪ (ТЕК.ТОК), ВМѢСТѢ (МѢСТО) და მრავალი სხვა.

სიტყვის ფორმათა განვითარებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს დაბოლოების და ფუძის ელემენტების ურთიერთშორის დამოკიდებულებას და ერთის გაუღენას მეორეზედ; ზოგჯერ ფუძის ბოლო ელემენტი საშუადად უერთდება რომელიმე დაბოლოების დასაწყისს და ამგვარად იცვლება განსაზღვრული ფუძის სახე, ესე იგი ფუძე მოკლდება: ქართულში, მაგალითად, „დედა“ წარმოდგენდა ფუძეს, რადგან აქ დაკარგულია ა დაბოლოება; მაშასადამე, ა„დედა“-ში არის ფუძის ელემენტი რომელიც ბრუნების დროს არ უნდა იკარგოდეს; ნამდვილად კი იკარგვის (დედის, დედით...), რადგან ა დაბოლოებად იქმნა ცნობილი. ამის შედეგი ის არის, რომ დღევანდელ ქართულში ფუძეუ საშარათლიანად მიგვაჩნია „დედა“-რუსულ „ЖЕНА“-ში ა იყო ფუძის ნაწილი, რომელსაც მაგალითად მრავლობითში ა მოსწყუა ფუძეს და შეუერთდა დაბოლოებას. ფუძეუ მიიღო „ЖЕН.“ სახე, დაბოლოებებმა კი-ЖЕН,-ЖЕН,-ЖЕН სხვა. რომ მართლა რუსულად მოაზროვნეს ა ამ შემთხვევაში დაბოლოების ელემენტად მიაჩნია და არა ფუძისა, იქედანაც სჩანს, რომ ასეთ დაბოლოებას (-ЖЕН,ЖЕН.) ამდღეს იმ სიტყვესაც, რომელთაც ფუძის ელემენტი ა არა აქვთ: მაგალითად, СТОЛАМЪ, СТОЛАХЪ (აქ ფუძე არის СТОЛ-).

დღეს ქართულში იხზარება „ღაბა“, რომლის ძველი ფორმა იყო „ღაბანი“, რომელიც ისეთივე მხოლოდობითი რიცხვია, როგორც ბატანი, საბანი და სხვა. — ნი რომ ფუძის ელემენტია, სჩანს იქედან, რომ ამ სიტყვიდან (ღაბანი) ნაწარმოებ „უღაბნო“ — ში შენახულია ნ (ძველი ფორმა იქნებოდა უღაბანო); მაშასადამე, „ღაბანი“ იქცა „ღაბა“- იმის გამო, რომ შეცდომითნი ცნობილ იქნა მრავლობითი რიცხვის დაბოლოებად; შეცდომა კი შესაძლებელი შეიქნა, რადგან ამ სიტყვის გენეტიური მნიშვნელობა მივიწყებული იყო.

გადაჯგუფების შედეგია აგრეთვე ფრანგული lazur (ლავარი), რომელიც განვითარდა საშუალო საუკუნის ლათინური lazur-ისაგან: 1 ელემენტი, რომელიც ხალხმა არტიკულ მიიჩნია, საბოლოოდ გამოიყო სიტყვას; ამის გამო სიტყვამ სხვა სახე მიიღო.

ქართულში გვაქვს შემთხვევები პირიქით, ესე იგი ისეთი, როცა თავსართის ელემენტი სიტყვის ძირითად კუთვნილებას საბოლოოდ შეერთვის; ვამბობთ „ვარდგენ“, სადაც რ არის წარ თავსართის ნაწილი. ამ მაგალითში თავსართის ელემენტი (რ) განოგადდა მხოლოდ რამდენიმე ფორმისათვის, მაგრამ „ალორძინება“ სიტყვაში თავსართის ღ ელემენტი შეიქნა ძირითადი კუთვნილების განუყრელი ნაწილი (ღორძინი). ამგვარივე გადაჯგუფების შედეგია „ვანხორციელებ“ (ვანხორციელება), „ვანსხევევ“ (ვანსხევევა) და მრავალი სხვა.

დასასრულ დავასახელებ ვგრედ წოდებულს კონტამინაციას (ლათ: contaminatio ნიშნავს „შეხება“ „შერევა“), რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ლაპარაკის პროცესში ასოციაციის ძალით ჩვენს ცხობიერებაში ერთნაირის სიმძლიერით შესაძლებელია აღიძრას რამდენიმე მორფოლოგიური ან სინტაქსიური ელემენტის წარმოდგენა; ამის შედეგია ისეთი შერეული ფორმის თქმა, რომელიც აღძრულ წარმოდგენათა შესაძლებელ შეერთებას შეიცავს. მაგალითად, მოგვიანო ლათინურში გვაქვს senexter (პარცხენა) sinister ის მაიერად;

ცხადია, რომ აქ მომხდარა კონტანიატია dexter-სა და sinister-ს შორის, რადგან მეორის თქმის დროს აღიძრა dexter-ის წარმოდგენაც. კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს ქართული „უშფროსი“, სადაც მ ძირითადი კუთვნილების ნაწილს არ შეადგენს (შეად. ფრიად); მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მ გაჩნდა ამ სიტყვაში „უშტროსი“-ს გავლენით (აქ უკვე მ ძირითადია, შეად. შტორე)

წინადადებათა კონტამინაციისათვის მოვიყვან ასეთ მაგალითს: *pater cum matre veniunt* (მამა დედასთან ერთად მოდიან); ზნის მრავლობითი ფორმა ამ შემთხვევაში შედეგია ორი კონსტრუქციის აღრევისა: „*pater cum matre venit*“ და „*pater et mater veniunt*“ („მამა და დედასთან ერთად მოდის“ და „მამა და დედა მოდიან“).

უკანასკნელ სამ ლექციაში აღძრულ საკითხების ლიტერატურა:

- 1) Paul, *Prinzipien der sprachgeshite*,⁴ 1909; გვ. 74..., 106..., 251..., 140...
- 2) Богородицкий, *Лекции по общему языковѣдѣнію*², 1915; გვ. 153..., 172..., 159...
- 3) Wundt, *Völkerpsychologie, Die sprache*³ გვ. 244...
- 4) Sigwart, *die Impersonalien*, 1888, გვ. 18...
- 5) Томсонъ, *Общее языковѣдѣніе*², 1910; გვ. 275., 303..., 327...



განმარტება.

რფ. უნივ. სტულ. კავშირის გაშვების მიერ გამოცემული „ენათმეცნიერების შესავლის“ დანიშნულებათა—აღმოჩენის დახმარება ფილოლოგ სტუდენტებს ამ საგანში გამოცდისათვის მზადების დროს.

მსმენელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ „ენათმეცნიერების შესავალი“ იკითხებოდა ორი სემესტრის (1918 წ. გაზაფხული და შემოდგომა) განმავლობაში ორი საათით კვირაში გაცილებით უფრო ვრცლად, ვიდრე ეს დაბეჭდილია ამ სამ წიგნაკში თხზომებზე ლექციად: მხოლოდ მას შეუძლია დაკმაყოფილდეს დაბეჭდილი ლექციების შესწავლით, ვისაც სრულად მოუსმენია წაკითხული კურსი; ხოლო ვისაც რაიმე მიზეზის გამო არ მოუსმენია ზოგიერთ საკითხთა განხილვა, მას შეუძლია შეივსოს დანაკლისი თავ-თავის ადგილას ნაჩვენები ლიტერატურიდან.

შემოდგომის სემესტრის უკანასკნელი ლექციები (1) სამწერლო და საერთო სალაპარაკო ენა, 2) ხელოვნური ენები და მათი კრიტიკა, 3) ენის წარმოშობის საკითხი) არ იბეჭდება, რადგან გამოცდისათვის მათი ცოდნა სავალდებულო არ არის; ხოლო მსურველს შეუძლია გაეცნოს ამ საკითხებს უფრო ვრცლად, ვიდრე ეს წაკითხული იყო, შემდეგი ლიტერატურიდან:

1. O. Jespersen, *Phonetische Grundfragen*, 1904 Leipzig und Berlin, kap. III: Die beste Aysssprache (32—64 გვ.).

2. Томсонъ, *общее языковѣдѣніе*, გვ. 375...

3. K Brugmann und Leskien, *Zur Kritik der Künstlichen Weltsprachen*, 1907.

4. Couturat et Leau, Histoire de la langue universelle 1907.
5. H Paul, Prinzipien der Sprachgeschichte, Halle, 1909, Kap. IX: Urschöpfung (§§ 122—131).
6. R. Lenz, Über Ursprung und Entwicklung der Sprache (Die neueren Sprachen VIII).
7. Wundt, Völkerpsychologie. Die Sprache, Leipzig 1912².
8. Житецкий, В. Гумбольдтъ въ исторіи фило-софскаго языкознанія („Вопросы философіи и психологіи“ 1900).
9. Кудрявскій, О происхожденіи языка („Русская Мысль“ 1912, июль)
10. Погодинъ, Языкъ, какъ творчество, Харьковъ, 1913, 83. 364...

შენიშნული შეცდომები.

წიგნი 1.

გვ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1	15	იირალია	იარალია
6	1	რის	არის
7	11	ginneken	Ginneken
7	13	language, 191	language, 1901
11	24	ერთეულის	ერთეულს
11	36	მზიარზ	მზიარზ
11	24	იშნები	ნიშნები
13	1	მეგრურ...	მეგრული ენა არ არის
12	28	კლანიფუაცია	კლასიფიკაცია
13	36	სურთო	საერთო
14	11	შედარებითი	შედარებითი
15	36	ურალო-ალტაური	ურალ-ალტაური
18	13	სხვა.	სხვა ფილოსოფიური და დრამატული თხზუ- ლებანი
18	20	ეთე	მეთე
18	21	აზემენიღთა	აქემენიღთა
18	22	ავესტი ნეა	ავესტის ენა
18	23	ავესტა.	ავესტა).
18	24	სპირსულ	სპარსულ
19	2	იონიკო-	იონიურ—
20	9	ურალო-	ურალ—
იქვე		ტურანულ	თურანულ

20	10	თურქო-	სურქულ—
იქვე		უგრო-	უგრულ—
"		მონგოლურისა	მონღოლურისა
22	33	მოთხოვნები	მოთხოვნილება
24	39	საშთან ხმოვანება	სამთანსხოვანება
24	42	ცვლილებას	ცვლილება
24	45	ძირები;	ძირები);
24	46	Kutilla „მევილებთ“	Kufien, — მევილებთ
25	2	ყველა,	ყველამ
25	7	refor-e	rétor-es
25	18	საოცხურს	საფეხურს
25	38	მრავალ-ჯერ	მრავალ—ჯერ
25	45	Jink	Fink
27	39	შეგრძნები	შეგრძნება
27	41	ყოველ ენის	ენის ყოველ
29	25	ნახევარო ნსფერო	ნახევარი-სფერო
29	46	შოსაბეჭდილება	შთაბეჭდილება
30	16	(„ზარის,	(„ზარი“-ს
30	17	თვითონ.	თვითონ,
30	25	ვერნ. ბრ.	ვერნ. +ბრ..
იქვე		როცო	როცა
30	26 ზევ.	„ზარი“ა	„ზარი“.
30	27 "	აღძრავ,	აღძრავს
30	31 "	„ვერნ. ბრ“	ვერნ. +ბრ.+
იქვე		მაგ.	მაგ—
30	5 ქვევ.	ვერნ. +ბრ. ენ. ორგ.	ვერნ. +ბრ. +ენ. ორგ. „
30	4 "	ვნ. წარმ. ვ. ბრ.	ვნ. წირმ. +ვერნ. +
		ორგ. მიბრ.,	ბრ. +ორგ. მოძრ. „
31	14 ზევ.	(ვერნ.)	(ვერნ.)
31	15 "	ლთი, ვ. მნ. წ. ბ. ენ.	„ლთი. +ვერნ. +მნიშ.
		ორგ. მოძრ.	წარმ. +ბრ. +ენ. ორგ.
			მოძრ. „

31	21	"	ვერნ. მწ. წარმ.	"ვერნ. + მნიშ. წარმ. "
31	24	"	ბრ. ვერნ.	"ბრ. + ვერნ. "
იქვე			ვერნ. ბრ.	-ვერნ. + ბრ. "
31	31	"	ვერნ ღმე.	"ვერნ. + ღმე. "
41	33	"	ღმე. ვერნ.	"ღმე + ვერნ "
31	34	"	ღმე. მნიშვნ. წარმ.	"ღმე + მნიშვნ. წარ- მოღგ. "-ს.
31	35	"	ღმე. ბრ.	"ღმე. + ბრ. "
31	37	"	მწ. წარმ. — ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.	"მნიშ. წარმ. + ვერნ. + ბრ. + ორგ. მოძრ.
31	38	"	ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ.	"ვერნ. + ბრ. + ორგ. მოძრ. "
31	39	"	გამოთქმა:	გამოთქმის დროს)
31	40	"	მწ. წ. - ვ. დ. გრაფ. ხელ. მოძრაობა	"მწ. წარ. + ვერნ + ღმე. + გრაფ. + ხელ. მოძ- რაობა "
31	40	"	მწ. წ. გრაფ. ხელ. მოძრ.	"მწ. წარ. + გრაფ. + ხელ. მოძრ. ... "
31	41	"	ღმე. გრაფ. ხელ. მოძრ.	"ღმე + გრაფ. + ხელ. მოძრ. . "
31	42	"	ღმე. ვერნ. ბრ. ორგ. მოძრ. + ვ. მწ. წარმ.	"ღმე. + ვერნ. + ბრ. + ორგ. მოძრ. + ვერ. + მწ. წარმ. "
31	43	"	ღმე. ვ. ბრ. ორგ. მოძრ.	"ღმე. + ვერ. + ბრ. + ორგ. მოძრ. . "
31	44	"	ღმე. ბრ. ორგ. მოძრ.	"ღმე. + ბრ. + ორგ. მოძრ. +
31	1 ქვევ.		ღმე. (მან. წარმ.; ღმე. ბრ. ორგ. მოძრ. ვერნ. (მწ. წარმ.	"ღმე. + მწ. წარმ. ", "ღმე. + ბრ. + ორგ. მოძრ. + ვერნ. + მწ. წარმ. "
იქვე				
32	22	ზევ.	დალლილოზობისაგანც;	დალლილოზობისაგანც),

32	27	სირთულე,	სირთულე.
32	33	მივილოთ.	მივილოთ
32	34	გადაცმის	გადაცმის
32	35	აღმოჩნათა	აღმოჩენათა
32	2 ქვევ.	Осокои	Осокии

წიგნი II

3	11 ზევ.	რა	რა და რა
5	1 "	პ, ბ,	პ, ფ, მ,
5	3 "	(სკლომა**	(სკლომა)**
5	20 "	(chiaonae).	(chiaanae).
6	4 "	ცხვირის მური	ცხვირისმური
6	16 "	ცხვირის მურობას	ცხვირისმურობას
8	3 "	ე	ე
8	1 ბოლ.	ეწოლა	ეწოდება
9	14 "	შუაენის.	შუაენის-
9	10 "	რ'ლ	რ,ლ
11	2 "	ვაგის	ქალის
11	1 "	ქალის	ვაგის
13	4 ზევ.	ვაშლის	ვაშლს
15	19 "	ც	ჯ
16	13 "	ე	ე
18	5 "	Jehrbuch	Lehrbuch
20	8 "	დავინახვთ	დავინახვთ
22	27 "	მნ. წარ.—ვ. + ბ.	მნ. წარ. + ვ. + ბ.
		(ორგ. მოძრ.)	+ორგ. მოძრ.
24	2 ბოლ.	ინტუნაკიად	ინტონაკიად
26	10 "	გაანდება	გაუნდება
31	9 ზევ.	მიზიდვი	მიზიდვის
32	17 "	უესტიც	უესტიც
62	3 ბოლ.	ოთგანოები	ორგანოები

385	19	ნ	ინტელექტი	ინტელექტი
388	12	ნ	წამლადგენა	წამლადგენა
389	1 ბოლ.	ნ	წითელი	წითელი
47	19	ნ	შობაძეულობითი	შობაძეულობით
397	12	ნ	ЗВУКОДРАЖАТЕЛЬ НЫЯ	ЗВУКОПОДРАЖАТЕЛЬ НЫЯ
37	7	ნ	უპირავს	უპირავს
38	17	ნ	ფუნქციური	ფუნქციური
39	5 ზევ.	ნ	სიტყვა)	(სიტყვა)
40	10	ნ	გიაადვილა	გიაადვილა
42	18	ნ	სიმამაკე	სიმამაკე
47	8	ნ	შეძინა	შეძინა
47	26	ნ	ფრანგი	ფრანგი
48	18	ნ	с	(с
48	16	ნ	მოკლე)	მოკლე)
47	28	ნ	ე ი	ე ი
48	27	ნ	წარმოვადგინოთ	წარმოვადგინოთ
54	5 ქვევ.	ნ	წარმოსადგენია	წარმოსადგენია
59	6 ზევ.	ნ	მიხვედვით	მიხვედვით
71	16	ნ	ébuos	ébuos
71	23	ნ	dziefi	dziefi
76	1 ბოლ.	ნ	fsonnus	somnus
82	4	ნ	მიღის	მიღის:
84	1 ბოლ.	ნ	Jauwandel	Jauwandel
90	11 ზევ.	ნ	მხოლოდ	მხოლოდ

